ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავჯდომარეს,

ბატონ: გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ნეფარიძის 2015 წლის ანგარიშს.

(იხ.დანართი 27 ფურცელი)

პატივისცემით,

ქ.თბილისის საკრებულოს

წევრი : / ზურაბ ნეფარიძე/

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილება
შემოსულია რაოდენობა 30 ფურცელი

№10/18420 21.10.15

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ზურაბ ნეფარიძის

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

ფრაქცია- ქართული ოცნება -ეროვნული ფორუმი
2015 წლის იანვრიდან დღემდე ფრაქციამ ჩაატარა 21 სხდომა
სხდომაზე გატანილი საკითხების რაოდენობა 125

იურიდიულ საკითხთა კომისია

ზურაბ ნეფარიძე 2015 წელს დაესწრო იურიდიულ საკითხთა კომისიის 25 სხდომას და შეისწავლა 211 საკითხი, მათ შორის:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისა და მათი განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გუდაურის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული 2059 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N71.62.58.019) და 9 935 055 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N71.62.47.494) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ" საკრებულოს განკარგულების პროექტი.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ" საკრებულოს დადგენილების პროექტი.

„თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სკოლამდელი ასაკის შვილებისთვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების თაობაზე" საკრებულოს დადგენილების პროექტი.

„მეწარმეობის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში იაფი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის პროექტის პირობებისა" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და პარტნიორ საფინანსო ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფორმის" დამტკიცების თაობაზე" საკრებულოს დადგენილების პროექტი.

„2010 წლის 11 იანვარს ქ. თბილისის მერიასა და შპს „ლანცეტს" შორის გაფორმებული ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის ხელშეკრულების და მასში შესული ცვლილების 4.3 პუნქტით განსაზღვული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „ლანცეტის" გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის, ტექნოლოგიური განვითარების ფონდის, თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრისა და ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილებების პროექტები.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

„მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონის დახურულად გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის აპარატისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების - ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოსდაცვითი სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ამასთან, ბატონმა ზურაბ ნეფარიძემ იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომებზე განიხილა არაერთი განკარგულების პროექტი, რომელიც შეეხებოდა მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარითა და უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის საკითხებს. ისევე, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე საკითხები.

2015 წლის 26 აპრილს გაიმართა გასვლითი შეხვედრები დედაქალაქის მოსახლეობასთან. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თევდორე კობახიძე და ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ნეფარიძე ორთაჭალის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოცამდე ოჯახის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრისას იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მოქალაქეთა თითოეული პრობლემური საკითხის შესახებ

ინფორმაცია დეტალურად მოისმინა. საკითხი შეეხებოდა ზემოაღნიშნული მოსახლეობისთვის საკმაოდ მძიმე პრობლემას, კერძოდ, მათ არ აქვთ წყალარინის სისტემა, რის გამოც ამ ქუჩასა და მათ ეზოებში სრული ანტისანიტარიაა. თევდორე კობახიძესთან შეხვედრის დროს მაცხოვრებლებმა აღნიშნეს, რომ მათ დადებული აქვთ ხელშეკრულება სააქციო საზოგადოებასთან „სილქნეტი", ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა წინასწარ აქვთ გადახდილი, თუმცა ხსენებული კომპანია არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას. მაცხოვრებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ რამდენიმე ოჯახს აქვს საცხოვრებელი ფართის რეგისტრაციის პრობლემა - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში ფართის აღურიცხაობის გამო, ვერ ხდება მათი გაზიფიცირება, რაც იმ ოჯახებს, რომელთაც მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავთ, გაუსაძლის პირობებს უქმნის. თევდორე კობახიძემ აღნიშნა, რომ იგი საფუძვლიანად შეისწავლის მოქალაქეთა მიერ დასმულ პრობლემურ საკითხებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში აღმოუჩენს მათ შესაბამის დახმარებას.

2015 წლის 6 აგვისტოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თევდორე კობახიძე, ამავე საკრებულოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზში, ისნის რაიონის მოსახლეობას შეხვდა. სამუშაო შეხვედრას ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ნეფარიძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზურაბ მურჯიკნელი, ისნის რაიონის გამგებლის მოადგილე თემურ ჩიჩუა, კომპანიის „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერი" („Georgian Water and Power") ტექნიკური დირექტორის მოადგილე ომარ გოცირიძე, ჩოლოყაშვილის ქუჩისა და ნავთლუღ-კახეთის რკინიგზის სახლის მაცხოვრებლები ესწრებოდნენ.

ხსენებულ შეხვედრაზე, რომელსაც იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თევდორე კობახიძე უძღვებოდა, ისნის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზურაბ ნეფარიძემ დამსწრე საზოგადოებას ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე დევნილების კორპუსისა და ნავთლუღ-კახეთის რკინიგზის სახლის მაცხოვრებლების პრობლემა დეტალურად გააცნო, კანალიზაციის სისტემის მოუწესრიგებლობაზე და ამის შედეგად გამოწვეულ პრობლემებზე ისაუბრა. ამ საკითხის მოგვარების გზებზე მსჯელობისას, აზრი გამოთქვეს მოსახლეობის, ისნის რაიონის გამგეობის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და კომპანიის „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერი" („Georgian Water and Power") წარმომადგენლებმა. შეხვედრის დასასრულს მიღებული იქნა გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე დევნილების კორპუსისა და ნავთლუღ-კახეთის რკინიგზის სახლის მაცხოვრებლების წინაშე მდგარი ამ კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად, მომდევნო კვირაში სამუშაო ჯგუფი შეიქმნებოდა.

აღნიშნული სამუშაო შეხვედრის დასასრულს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სიტუაციის უკეთ გასაცნობად, იგი პირადად იმყოფებოდა ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე კორპუსსა და ნავთლუღ-კახეთის რკინიგზის სახლში და იქ მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეების ყოფით პირობებს გაეცნო, სადაც ორივე სახლში დევნილები არიან ჩასახლებულნი. სამუშაო ჯგუფი ამ საკითხს არა მხოლოდ ისნის რაიონის, არამედ დედაქალაქის მასშტაბით შეისწავლის, შედგება სამოქმედო გეგმა, გაკეთდება ფინანსური დასკვნები, თუ რა ოდენობის თანხა იქნება საჭირო ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად და დასახელდება კონკრეტული ვადები, რომელთა ფარგლებშიც, ეტაპობრივად, დედაქალაქის მასშტაბით ამ საკითხის გადაწყვეტას შევძლებთ. სამუშაო ჯგუფში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის წარმომადგენლები, ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, დედაქალაქის მერიის, ისნის რაიონის გამგეობის, კომპანიის „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერი" („Georgian Water and Power") წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები შევიდოდნენ.

ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისია
სულ ჩატარდა 16 სხდომა აქედან 15 ხსდომად დაესწრო ზურაბ ნეფარიძე

2015 წლის 25 ივნისს ჩატარდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის სხდომა.

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. გულიკო ზუმბაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ზურაბ ნეფარიძე - კომისიის წევრი.
3. ზაქარია კოლელიშვილი- კომისიის წევრი;
4. ია მაკასარაშვილი - კომისიის წევრი.
5. ირაკლი აბესაძე - კომისიის წევრი.

დღის წესრიგი:

1. მოქალაქე (არასრულწლოვანი) ნოდარ ბერიაშვილის განცხადების (№11009) განხილვა, მემკვიდრეობით მიღებული საკრედიტო ვალდებულებების შესახებ.

მოწვეული სტუმრები:

1. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი";

2. თამარ ჩხოლარია - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის უფროსი სპეციალისტი;
3. ნატო მამალაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი ექსპერტიზისა და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს სპეციალისტი;
4. ჩაფიძე ნანა, მელიქაძე ქეთევან - გაეროს ბავშვთა ფონდი;
5. მოქალაქეები - ნოდარ ბერიაშვილი, ნანა მახარობლიძე (მეურვე);

2. 2015 წლის 23 აპრილის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის სხდომის (ოქმი №6) გადაწყვეტილების შესრულების შესახებ.

3. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებასა და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიას შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარე:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე.

სხდომის თავმჯდომარემ გულიკო ზუმბაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, წარმოადგინა მოწვეული სტუმრები და დამსწრე პირებს გააცნო დღის წესრიგი. კომისიის წევრებმა და მოწვეულმა სტუმრებმა სხდომის თავმჯდომარისგან მოისმინეს განცხადების შინაარსი. გულიკო ზუმბაძის განმარტებით, 2014 წლის 7 მარტს ნონა მახარობლიძემ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალისგან" საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე აიღო სესხი 3000 დოლარის ოდენობით. კრედიტი უზრუნველყოფილი იქნა იპოთეკის გზით, იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის საკუთრებაში არსებული ბინა (თბილისი, ლერწმის ქუჩის მიმდებარედ). 2014 წლის 3 ივნისს მსესხებელმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციისგან კვლავ აიღო სესხი 1000 დოლარის ოდენობით. 2014 წლის 2 ივლისს ავტოკატასტროფის შედეგად გარდაიცვალა მსესხებებლი. ბინა რომელიც

დატვირთული იყო იპოთეკით მემკვიდრეობით ერგოთ მსესხებლის შვილებს ნოდარ ბერიაშვილს (16 წლის) და საბა ბერიაშვილს (11 წლის). არასრულწლოვნებს სასამართლოს გადაწყვეტილებით მეურვედ დაენიშნათ დეიდა - ნანა მახარობლიძე. ამ დრომდე ფიზიკური შრომითა და ოჯახიდან სხვადასხვა ნივთების გაყიდვის გზით კრედიტს იხდიდა 16 წლის ნოდარ ბერიაშვილი. თუმცა, ამჟამად ყველანაირი ფინანსური რესურსი ამოწურულია. დღეის მდგომარეობით სესხი არის ვადაგადაცილებული და სავალდებულო შესატანი თანხა შეადგენს 270 დოლარს. სრული დავალიანება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ შეადგენს დაახლოებით 1800 დოლარს. ამასთანავე არასრულწლოვნებს ოჯახში ჰყავთ ავადმყოფი პაპა, რომელსაც დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია. გულიკო ზუმბაძის განმარტებით, კანონმდებლობა არ გვაძლევს საშუალებას, რომ დავიცვათ არასრულწლოვანი მემკვიდრეები ვალდებულებებისგან. თვითონ მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ თავი აარიდა პასუხისმგებლობას და სხდომაზე არ გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარემ პოზიციის დაფიქსირება სთხოვა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრის უფროსი სპეციალისტის თამარ ჩხოლარიამ განაცხადა, რომ სახალხო დამცველის აპარატი თვალყურს მიადევნებს ოჯახის მდგომარეობიდან გამომდინარე, ხომ არ ეშლება არასრულწლოვანს ხელი განათლების მიღებაში. ფაქტია, რომ ბოლომდე არ არის დაცული არასრულწლოვანის უფლებები. მსგავსი შემთხვევების დროს სახელმწიფომ უნდა აღმოუჩინოს დახმარება პირს.

სხდომის თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძემ დაინტერესდა, სოციალური მომსახურების სააგენტო რამდენად არის ჩართული მსგავს საკითხებში და რა ფუნქცია აკისრია ამ შემთხვევაში. მანვე გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლებელია მოქალაქეებს არც აქვთ ინფორმაცია ვის უნდა მიმართონ დახმარებისათვის მსგავს შემთხვევებში, სწორედ ამიტომ აქტიურად ვითხოვთ საკოორდინაციო ცენტრის შექმნას მერიის სისტემაში.

პოზიცია დააფიქსირა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი ექსპერტიზისა და სასამართლოებთან ურთიერთობის სამმართველოს სპეციალისტმა ნატო მამალაძემ. მისი განმარტებით, ბავშვისთვის სავალდებულოა საბაზისო განათლება და დაუშვებელია რაიმე ფორმით ხელი შეეშალოს მას ყოველივე ამაში. განათლების უფლება გარანტირებულია კონსტიტუციით.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს კიდევ ერთხელ წარუდგინა ნოდარ ბერიაშვილი და სთხოვა მას, პირადად გაეცნო კომისიის წევრებისათვის და მოწვეული სტუმრებისათვის პრობლემის არსის შესახებ.

ნოდარ ბერიაშვილის განმარტებით, დედის გარდაცვალების შემდგომ, პჯახის ახლობლების დახმარებით და სხვადასხვა ნივთების გაყიდვით ყოველთვიურად იხდიდა 270 დოლარს, თუმცა ამჟამად ყველანაირი რესურსი ოჯახს ამოწურული აქვს.

განმცხადებელს კითხვა დაუსვა სხდომის თავმჯდომარემ, გულიკო ზუმბაძე დაინტერესდა, შესთავაზა თუ არა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ოჯახს შეღავათი.

გულიკო ზუმბაძის კითხვას პასუხი გასცა ნოდარ ბერიაშვილმა, მისი განმარტებით, მიმართეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, რომ პროცენტების ნაწილში მაინც მოეხსნათ პასუხისმგებლობა მათთვის, მაგრამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას არანაირი შეღავათი არ გაუწევია.

კითხვა დასვა კომისიის წევრმა ზაზა კოლელიშვილმა, იგი დაინტერესდა რამდენია წლიური საპროცენტო განაკვეთი.

ზაზა კოლელიშვილის კითხვას პასუხი გასცა განმცხადებლის მეურვემ ნანა მახარობლიძემ. მისი განმარტებით, წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 27 %-ს.

ზაზა კოლელიშვილი ასევე დაინტერესდა, რამდენია სრული დავალიანება ამჟამად.

ნანა მახარობლიძის განმარტებით, ამჟამად დარჩენილია 1800 დოლარი.

საბანკო პროცენტებთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა სხდომის თავმჯდომარემ. გულიკო ზუმბაძის აღნიშნა, რომ დაუშვებელია შეუსაბამოდ მაღალი პროცენტები.

ინიციატივა გამოთქვა, კომისიის წევრმა ზაზა კოლელიშვლმა, რომ სკოლებმა უნდა გააკეთონ აღრიცხვა სოციალურად დაუცველი ბავშვების და კანონში ჩაიდოს შეღავათები ბანკებთან ურთიერთობის დროს, მსგავს ოჯახებთან დაკავშირებით.

გულიკო ზუმბაძემ მაგალითისთვის დაასახელა, რომ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში მსესხებლის გარდაცვალების შემთვევაში, საბანკო სექტორი მემკვიდრეს ახვდევინებს შედარებით ნაკლებ თანხას. ამავდროულად მან მიმართა განმცხადებლის მეურვეს, ნანა მახარობლიძეს, რომ წარმოედგინა საკუთარი მოსაზრება.

ნანა მახარობლიძის განმარტებით, სესხს ფარავდნენ სანამ ჰქონდათ ამისი საშუალება, ამჟამად კი ყველანაირი რესურსი ამოწურულია. მანვე აღნიშნა, რომ დახმარებისთვის მიმართეს ზურა ნეფარიძეს, რომელიც მეტად გულსიხმიერად მიუდგა მათ პრობლემას.

მემკვიდრეობით მიღებული ვალდებულებების შესახებ ისაუბრა კომისიის წევრმა ირაკლი აბესაძემ. მისი განმარტებით, მართალია მამკვიდრებლის ქონებით ხდება მის მიერ აღებული ვალდებულებების დაფარვა, მაგრამ დიფერენცირება უნდა გაკთდეს სოციალური თვალსაზრისით. შეიძლება რომ საკანონმდებლო ინიციატივა მომზადდეს სხვა ქვეყნის მაგალითზე. მხოლოდ არასრულწლოვნობის საფუძველზე არ იქნება მიზანშეწონილი შეღავათების ჩადება კანონში. იმ შემთხვევაში თუ არსრულწლოვანი მემკვიდრისათვის, მემკვიდრეობით მიღებული ქონება არის ერთადერთი საცხოვრებელი, მაშინ ამ ქონებით არ უნდა ხდებოდეს პასუხისმგებლობა მამკვიდრებილის მიერ აღებულ ვალდებულებებზე. კონკრეტულ შემთხვევებზე კონკრეტული რეგულაციები უნდა გაკეთდეს.

კომისიის წევრის ზურა ნეფარიძის განმარტებით, მან მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მიმართა, რომ გამოეჩინათ გულისხმიერება ნოდარ ბერიაშვილის მიმართ, მაგრამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ამის პასუხად წერილობით აცნობა დავალიანების შესახებ. მანვე დაამატა, რომ მართალია ამ ეტაპზე სამართლებრივად ვერ ვეხმარებით, მაგრამ კომისია ყველანაირად გვერდში დაუდგება არასრულწლოვანს, რომ ოჯახი ერთადერთი საცხოვრებლის გარეშე არ დარჩეს.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისია აუცილებლად მიმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, რათა ნოდარ ბერიაშვილს გაეწიოს შეღავათი. მანვე სტუმრებს მიმართა, რომ უახლოეს მომავალში დაიგეგმება შეხვედრა და კომისიის წევრები მოწვეულ სტუმრებთან ერთად იმსჯელებენ საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით.

საკანონმდებლო ცვლილებასთან დაკავშირებით, კომენტარი გააკეთა საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა თამარ ჩხოლარიამ, მისი განმარტებით, კარგია რომ კონკრეტული პრობლემიდან გამომდინარე კომისია შეეხო ზოგად საკითხს. განათლების სამინისტრო თავის მხრივ ითანამშრომლებს სოციალური მომსახურების სააგენტოსთან.

კითხვა დასვა კომისიის წევრმა ზაზა კოლელიშვილმა, ის დაინტერესდა ირიცხება თუ არა ოჯახი სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში.

კითხვას პასუხი გასცა ნანა მახარობლიძემ, მისი განმარტებით მათ მიმართეს სოციალური მომსახურების სააგენტოს და სოციალური აგენტის მიერ ოჯახი შეფასებული იქნა, მაგრამ არ მიაკუთვნეს სოციალურად დაუცველის სტატუსი.

დამსწრე პირების მიერ მსჯელობის დასრულების შემდგომ სხდომა შეაჯამა გულიკო ზუმბაძემ და აღნიშნა, რომ კომისია აუცილებლად მიმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, მაგრამ კანონმდებლობა აუცილებლად უნდა იცავდეს მოქალაქეებს მსგავსი შემთხვევებისაგან.

დაადგინეს:

- კომისია წერილობით მიმართავს სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალს“ ნოდარ ბერიაშვილისთვის შეღავათის გაწევის შესახებ.

- კომისია წერილობით მიმართავს შესაბამისი რაიონის გამგეობას ნოდარ ბერიაშვილისთვის ფინანსური დახმარების გაწევის თხოვნით.

- სხდომაზე მოწვეული უწყებების წარმომადგენლებთან ერთად კომისია უახლოეს მომავალში შეიმუშავებს წინადადებებს კანონში ცვლილებასთან დაკავშირებით.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე გადასვლისას კომისიის წევრებმა ინფორმაცია მოისმინეს კომისიის თავმჯდომარისგან. გულიკო ზუმბაძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ ა/წ 25 აპრილს საკრებულოში ჩატარდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის სხდომა შპს „თამ-ენერჯის“ თანამშრომლების კოლექტიური განცხადების თაობაზე, სახელფასო დავალიანების შესახებ. კომისიის სხდომაზე მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ კომპანიასა და მის თანამშრომლებს შორის შედგებოდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. კომპანიამ დადგენილ ვადაში წარმოადგინა მემორანდუმის პროექტი, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოაწერდნენ ხელს აღნიშნულ მემორანდუმს. კომისიის ორგანიზებით მოწვეულები იქნენ მხარეები საკრებულოში, მაგრამ როგორც ჩანს დასაქმებულთა მხარე არ იყო ბოლომდე ჩამოყალიბებული და მზად მემორანდუმზე ხელისმოსაწერად. გამომდინარე აქედან მემორანდუმი მხარეებს შორის არ შედგა. სხდომის თავმჯდომარემ ინიციატივა გამოთქვა, რომ მიემართოს წერილობით შპს „თამ-ენერჯის“, სადაც კომპანიას მოუწოდებენ, რომ აწარმოოს დიალოგი თანამშრომლებთან.

დაადგინეს:

- მიემართოს წერილობით კომპანია შპს „თამ-ენერჯის", თანამშრომლებთან დიალოგის ხელახლა დაწყების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომის მესამე ნაწილში კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია, რომ იგეგმება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას და თბილისის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიას შორის.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ კომისიაში ხშირად შემოდის მოქალაქეთა განცხადებები, შრომით დავებთან დაკავშირებით და სწორედ დასაქმებულთა ინტერესების დაცვის მიზნით იგეგმება აღნიშნული მემორანდუმის გაფორმება.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მემორანდუმის მიზნები, მან აღნიშნა, რომ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიზნად ისახავს, შრომითი უფლებების დარღვევით დაზარალებული პირების უფლებათა დაცვის ხელშეწყობას, საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებას, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას და ა.შ.

- კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებასთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებას.

2014 წლის 21 ოქტომბერს, 11.00 საათზე ჩატარდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის სხდომა.

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. გულიკო ზუმბაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. ზურაბ ნეფარიძე - კომისიის წევრი, კომისიის თავმჯდომარის მ/შ;
3. ზაქარია კოლელიშვილი- კომისიის წევრი;
4. გიორგი მუსხელიშვილი - კომისიის წევრი;
5. ია მაკასარაშვილი - კომისიის წევრი.

კომისიის სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და შეუდგა მუშაობას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად.

კომისიის სხდომა წარიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა და გარემოს დაცვის კომისიებთან ერთად.

სხდომას საკრებულოს სხვა წევრებთან ერთად, ესწრებოდა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი გიორგი ალიბეგაშვილი.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. ქ. თბილისში არსებული, დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის ადგილმონაცვლეობის შესახებ.

მოწვეული სტუმრები:

- ნიკა გვაზავა (ანალიტიკური სამმართველოს მთავარი სპეციალისტი), ქრისტინე ვარდანაშვილი (ნარჩენების და ქიმიური ნივთიერებების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი) - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;

- კახა ჩიქვინიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

- ავთანდილ სუდაძე (სამსახურის უფროსი), ირინა ჭეიშვილი (სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე)- ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური;

- გიორგი სანიკიძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;

- ლევან ჯღარკავა - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის პირველი მოადგილე;

- გიორგი გარსევანიშვილი, დავით თუთბერიძე - სახალხო დამცველის აპარატი;

- გიორგი დარსაველიძე, ნიკოლოზ ინაშვილი - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრები;

- მოსახლეობა.

კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და მოწვეული სტუმრები.

კენჭისყრით ერთხმად დამტკიცდა კომისიის სხდომის დღის წესრიგი.

<u>მოისმინეს:</u>

სხდომის თავმჯდომარემ, გულიკო ზუმბაძემ დამსწრეთ განუმარტა მიზეზები, რის გამოც საკითხის სხდომაზე განხილვის გადაწყვეტილება იქნა მიღებული. მისი განცხადებით, 2010 წელს, დედაქალაქის იმჟამინდელი მერის, გიორგი უგულავს ინიციატივით, ქალაქის ნაგავსაყრელს შეეცვალა ტერიტორია და გლდანის რაიონიდან სამგორის რაიონში, კერძოდ, დიდი ლილოს ტერიტორიაზე გადმოიტანეს. ეს პროცესი განხორციელდა გარემოზე ზემოქმედების შესწავლის (გზშ) პროცედურის უხეში დარღვევით.

ამასთან, დაირღვა მოქალაქეთა კანონიერი უფლებები, კერძოდ, საკუთრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით, ვინაიდან ეს ტერიტორია იმყოფებოდა სხვადასხვა ფიზიკური პირების კერძო საკუთრებაში. ასევე, ნაგავსაყრელი განთავსებულია თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სიახლოვეს და დარღვეულია საერთაშორისო სტანდარტები აეროპორტებთან მიმართებაში. მოსახლეობა უჩივის ჯანმრთელობის მკვეთრ გაუარესებას, წარმოქმნილი მძიმე სუნის გამო. აღნიშნული, უკვე აწუხებს არამარტო დიდი ლილოს მოსახლეობას, არამედ მიმდებარე ტერიტორიების, ნასაგურის, წინუბნის, ნორიოს, ბროწეულას და სხვ. მაცხოვრებლებსაც. მანვე განაცხადა, რომ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ კონსტიტუციით გარანტირებული უფლება, იცხოვრონ ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში (საქართველოს კონსტიტუციის, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი), რისი აშკარა ხელყოფის ფაქტებიც სამწუხაროდ სახეზე გვაქვს.
მოსახლეობის არაერთი პროტესტის მიუხედავად, აქამდე ადგილობრივ ხელისუფლებას ამ პრობლემის მოსაგვარებლად არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს. დღეს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მზად არის მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება ნაგავსაყრელთან დაკავშირებით და შემდგომი რეაგირების მიზნით, წარუდგინოს მერიას.

ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელმა, გიორგი გაბათაშვილმა მადლობა გადაუხადა ქ-ნ გულიკოს და საკრებულოს წევრებს პრობლემით დაინტერესებისათვის. გარემოს დაბინძურება, რომ აშკარად სახეზე გვაქვს, ისიც მოწმობს, რომ დასახლებაში მასიურად ნადგურდება მწვანე ნარგავები. მისი განცხადებით, ნაგავსაყრელის განთავსება იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რა დროსაც არ იქნა გათვალისწინებული მოქალაქეების ინტერესები. ნაგავსაყრელის არსებობა საფრთხეს უქმნის მოქალაქეების ჯანმრთელობას, არსებობს წყლით მოწამვლის საშიშროებაც. მისივე განმარტებით, არსებობდა ეკოლოგიის სამსახურის დასკვნა, რომ ტერიტორიიდან 13 კმ-ს რადიუსში არ შეიძლებოდა ნაგავსაყრელის მოწყობა.

სამოქალაქო ავიაციის სპეციალისტის, ალექსანდრე კახიანის განცხადებით, საქართველო მიერთებულია ჩიკაგოს კონვენციაზე, სადაც წერია, რომ აეროპორტიდან მხოლოდ 13 კილომეტრის მანძილზე დაშვებული ნაგავსაყრელის არსებობა, ამ შემთხვევაში კი მანძილი მხოლოდ 7 კილომეტრია. არსებული სტატისტიკის მიხედვით, ხშირია ამ დროს ფრინველების შეჯახების ფაქტები საჰაერო ხომალდებთან, რის გამოც საერთაშორისო ორგანიზაციებიდან არაერთი დირექტივაა გამოგზავნილი. ვინაიდან აღნიშნული პრობლემა პირდაპირ კავშირშია ისეთ სერიოზულ რისკთან, როგორიცაა ადამიანის სიცოცხლე,

ველოდებით ამ საკითხის დროულ მოგვარებას, დაწესებული საერთაშორისო ნორმების შესაბამისად (ICAO).

ადგილობრივი მაცხოვრებლის, ზურაბ პეტრიაშვილის (ფეხბურთის მწვრთნელი) განცხადებით, ქალაქის ყოფილმა მერმა, გიორგი უგულავამ დანაშაულებრივი გადაწყვეტილება მიიღო. ახალი ხელისუფლების სათავეში მოსვლამ კი მოსახლეობას პრობლემის გადაჭრის იმედი გაუჩინა. დასახლებაში ხშირია სიმსივნით დაავადების შემთხვევები, რაც დასაბუთებული ვარაუდით ნაგავსაყრელიდან მომდინარეობს. ამასთან, ხშირად აუტანელი სუნის გამო, ფერხდება ფეხბურთის გუნდის ღია ცის ქვეშ, სრულფასოვანი ვარჯიში.

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა - თბილისის" თავმჯდომარის, ირაკლი აბესაძის განცხადებით, პრობლემა მასშტაბურია და არავის არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ მისი მოგვარება 2-3 დღეში იქნება შესაძლებელი. აქვე აღნიშნა, რომ ქალაქს ნაგავსაყრელი სჭირდება. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მისი ადგილომონაცვლეობა ხანგრძლივ დროსთან არის დაკავშირებული, კარგი იქნება თუ დაუყოვნებლივ დაიწყება მსჯელობა არსებული ნაგავსაყრელის მავნე ზეგავლენის შემცირებაზე.

ზურაბ პეტრიაშვილმა რეპლიკის სახით ირაკლი აბესაძეს შესთავაზა ლილოს დასახლებაში ერთი თვით ცხოვრება და იქ არსებულ გარემოსთან შეგუება. აქვე დასძინა, რომ მთავარია დაუყოვნებლივ იქნას მიღებული რაიმე სახის გადაწყვეტილება და მოსახლეობა მზადაა მომდევნო 1-2 წელი გაგებით მოეკიდოს მიმდინარე პროცესს.

სხდომის თავმჯდომარემ, გულიკო ზუმბაძემ განაცხადა, რომ მოსახლეობას ძალიან კარგად აქვს გათავისებული პრობლემა, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ ერთბაშად ნაგავსაყრელზე მიწის მიყრა და სხვაგან გადატანა ვერ მოხდება. საჭიროა მოხდეს ევროპის ქვეყნების პრაქტიკის გაანალიზება, სტანდარტების დაკმაყოფილება და ამ გზით მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა. ისაუბრა ასევე, რომ სხვა პრობლემებთან ერთად, ნაგავსაყრელმა განაპირობა მოსახლეობის კუთვნილი უძრავი ქონების გაუფასურება.

ორგანიზაცია მწვანეთა მოძრაობა - დედამიწის მეგობრების წარმომადგენლის, ნიკოლოზ ინაშვილის განცხადებით, თავის დროზე ნაგავსაყრელისთვის ტერიტორიის შერჩევა მოხდა შეცდომით, რის გამოც შემდგომი თანამდევი პროცესებიც ცუდად განვითარდა. ნაგავსაყრელის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ უნდა მოხდეს ნაჩქარევად. დახურვას წინ უნდა უძღვოდეს მთელი რიგი პროცესები. აქვე დასძინა, რომ მისი ორგანიზაცია გვერდში უდგას მოსახლეობას და მიესალმება პროცესის მაქსიმალურ გამჭვირვალეობას.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელის, გიორგი გარსევანიშვილის განცხადებით, სახალხო დამცველის აპარატს წარმოებაში აქვე დიდი ლილოს მოქალაქეების განცხადებები და მიმდინარეობს საკითხის საფუძლიანი შესწავლა. მისი განმარტებით, ნაგავსაყრელი საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, რის დასტურადაც თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, რომ დასახალებაში უამრავი ბავშვი იბადება ანომალიით. ბოლოს

დასკვნის სახით დასძინა, რომ იმ შემთხვევაში თუ მაცხოვრებლები სარჩელით მიმართავენ ევრო სასამართლოს, მათი კანონიერი მოთხოვნა აუცილებლად დაკმაყოფილდება და სახელმწიფოს 1 წლის ბიუჯეტი არ ეყოფა ზიანის ასანაზღაურებლად.

სხდომის თავმჯდომარემ, გულიკო ზუმბაძემ განაცხადა, რომ საკრებულო იტყვის თავის სიტყვას და საკითთან დაკავშირებით, შესაბამის განკარგულებას მიიღებს, რასაც პირადად ქალაქის მერი, დავით ნარმანიაც მოითხოვს.

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ავთანდილ სუდაძემ აღნიშნა, რომ პრობლემა მართლაც არსებობს და თვითმმართველობამ ყველაფერი უნდა იღონოს პრობლემის მინიმალიზაციისთვის. მისი განცხადებით, მერიამ ორ დონორ ორგანიზაციას უკვე სთხოვა დახმარება და საკითხის შესწავლა. აქვე დასძინა, რომ კონსერვაცია მიღწევადი პროცესია, თუმცა რთულია ახალი ტერიტორიის მოძიება, რაც თავის მხრივ საჭიროებს ახალ ე.წ. გზშ-ს და ა.შ. საკრებულოსგან ითხოვა დრო, საკითხის შესახებ დასაბუთებული პრეზენტაციის წარმოსადგენად.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფავლენიშვილმა რეპლიკის სახით **განაცხადა,** რომ იმ ფონზე, როდესაც ამდენი პრობლემა სდევს ნაგავსაყრელს, ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი სხვა, უკეთესი გზის ძიება.

ფრაქცია „ქართული ოცნება -კონერვატორების“ წარმომადგენელმა დავით უთმელიძემ **განაცხადა,** რომ პროცესი არ არის მარტივი, საჭიროა გადაწყვეტილების მიღებამდე საკითხის სიღრმისეული გაანალიზება, რომ კიდევ შეცდომა არ იქნას დაშვებული.

სხდომის თავმჯდომარემ, გულიკო ზუმბაძემ განაცხადა, რომ ტერიტორია ახალი ნაგავსაყრელისთვის ჯერ არ არის შერჩეული. შეიქმნება ჯგუფი, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას თუ რა შეიძლება გაკეთდეს, აშენდეს ქარხანა, მოხდეს ნარჩენების სეპარირება და ა.შ. აქვე ისაუბრა ევროპულ ქვეყნებზეც, სადაც ზოგ შემთხვევაში ნაგვის გადამამუშავებელი ქარხანა ქალაქის ცენტრშია განთავსებული, თუმცა მისგან არ მომდინარეობს რაიმე სახის უარყოფითი და მავნე ზეგავლენა გარემოსა და მოსახლეობაზე.
გულიკო ზუმბაძის განცხადებით, საჭიროა საკითხზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და თვითმმართველობის ყველა კომპეტენტური პირის ჩართვა.

საკრებულოს წევრის, თამარ ციცაბაძის განცხადებით, უნდა მოხდეს დროული შესწავლა, თუ როგორ შეიძლება ნაგავსაყრელზე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება და მოსახლეობის დაცვა, იმ დრომდე სანამ მოხდება ნაგავსაყრელის სხვა ტერიტორიაზე გადატანა. აქვე ისაუბრა, ლილოს ტერიტორიაზე განთავსებულ ქარხნებზე, რომლებიც ასევე მავნე გავლენას ახდენენ მოსახლეობასა და გარემოზე.

სხდომის თავმჯდომარე, გულიკო ზუმბაძე დაეთანხმა თამარ ციცაბაძეს, რომ ტერიტორიაზე არსებული ქარხნები მართლაც მავნე ზეგავლენას ახდენენ მოსახლეობაზე და აბინძურებენ გარემოს. აქვე დასძინა, რომ აღნიშნული განპირობებულია ქვეყანაში ერთიანი მაკონტროლებელი ორგანოს და სათანადო საკანონმდებლო ნორმების არარსებობით.

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის მოადგილის, ლევან ჯღარკავას განცხადებით, პოლიგონის მოვლა-პატრონობა მათი კომპეტენციაა. იმისათვის, რომ ნაგავსაყრელზე არსებული ვითარება გამოსწორდეს, დამონტაჟდეს სუნის აირატორები, მოხდეს პირველი უჯრედის ბალახით დაფარვა და ა.შ. საჭიროა 10 მლნ ევრო. აქვე განაცხადა, რომ ბოლო ოთხი თვის მანძილზე, თანამედროვე გერმანული აპარატურის გამოყენებით ნაგავსაყრელზე იწმინდება ნადგომი წყალი და დღეის მდგომაროებით ნაგავსაყრელის ამ ვითარებაში შენახვა 150.000 ლარი ჯდება. მისი განცხადებით, ნაგავსაყრელი დღეში დაახლოებით ათას ტონა ნაგავს იღებს, რაც საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია. ლევან ჯღარკავას განცხადებით, ნაგავსაყრელის დახურვა გრძელვადიანი პროცესია და უკეთესი იქნება თუ ადგილზე მოეწყობა ქარხანა, რომელიც იქვე გადაამუშავებს ნარჩენებს. აქვე დასძინა, რომ ნაგავსაყრელის მე-2 უჯრედი ამ ვითარებაში კიდევ 3-4 წელი იფუნქციონირებს, ხოლო ქარხნის მოწყობისა და სეპარირების შემთხვევაში მისი შენარჩუნება შესაძლებელია 20 წლამდე. ამ ეტაპზე უმთავრესი ამოცანაა ბიზნეს კომპანიის მოძიება, რომელიც ააშენებს ქარხანას, ხოლო დედაქალაქი უზრუნველყოფს მისთვის ნარჩენების მიწოდებას.

ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ თავმჯდომარემ ვლადიმერ ძნელაძემ „თბილსერვისის“ წარმომადგენელს მიმართა, რომ კარგი იქნებოდა თუ მოეწყობოდა სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია.

მოსახლეობის წარმომადგენლის, ზაზა ჩხაიძის განცხადებით, ფრინველებთან შეჯახების პრევენცია საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ამოსავალი წერტილია, რის გამოც აეროპორტი არ უნდა აშენდეს ნაგავსაყრელის სიახლოვეს. საქართველოს რეალობაში კი უკვე არსებული აეროპორტიდან მანძილის დაუცველად მოეწყო ნაგავსაყრელი, რაც ყოვლად დაუშვებელია და შესაძლოა ფატალური შედეგით დასრულდეს.

გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის, შორენა ბუხრაშვილის განცხადებით, აღნიშნული პრობლემა დიდი ხანია არსებობს და ნაგავსაყრელი ახდენს უარყოფით გავლენას მოსახლეობაზე, გარემოზე და ა.შ. აქვე დასძინა, რომ თავიდანვე უნდა მოხდეს შეთანხმება იმაზე გვინდა თუ არა საერთოდ ნაგავსაყრელის არსებობა თბილისის ტერიტორიაზე მსგავსი ფორმით, რადგან თუ მას გადავიტანთ თბილისის სხვა უბანში, პრობლემა ახალ უბანს შეექმნება.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფავლენიშვილმა რეპლიკის სახით განაცხადა, რომ პრობლემა დგას როგორც ჯანმრთელობის, ისე უსაფრთხოების კუთხით. შესაძლებელია, ბიუჯეტში სპეციალური მუხლიც კი დაემატოს მაგალითისათვის ისეთი სახელწოდებით, როგორიცაა: „თბილისი ნაგვის გარეშე“.

ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარემ, დავით უთმელიძემ რეპლიკის სახით განაცხადა, რომ ამ მიმართულებით ყველა წამოწყებას მთელი საკრებულო მხარში უნდა დაუდეს.

ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ რამინა ბერაძემ, მადლობა გადაუხადა სხდომის მოწვევის ინიციატორებს. მისი განცხადებით, საწყის ეტაპზევე უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები და პრობლემა უნდა მოგვარდეს, რადგან

ყველა შეწუხებულია საკითხით. აქვე განაცხადა, რომ მთელი მისი ფრაქცია ჩართული იქნება აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში.

საკრებულოს წევრმა ია მაკასარაშვილმა განაცხადა, რომ იზიარებს სხდომაზე გამოთქმულ მოსაზრებებს. მოსახლეობა მართლაც მძიმე სიტუაციაში იმყოფება და საჭიროა, რომ პრობლემა გონივრულ ვადებში იქნას მოგვარებული. აქვე მადლობა გადაუხადა გულიკო ზუმბაძეს, რომელიც ჯერ კიდევ წინა მოწვევის საკრებულოს დროიდან გვერდში უდგას ლილოს მოსახლეობას.

სხდომის თავმჯდომარემ, გულიკო ზუმბაძემ დამსწრეთ გააცნო საკითხთან დაკავშირებით მომზადებული განკარგულების პროექტი. ტექსტთან დაკავშირებით, გამოთქმული აზრთა სხვადასხვაობის გამო, სხდომაზე გამოცხადდა 15 წუთიანი შესვენება.

შესვენების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ, გულიკო ზუმბაძემ წაიკითხა განკარგულების ტექსტის საბოლოო ვერსია.

სხდომაზე კენჭი უყარეს და კომისიის დამსწრე წევრთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით (5 - მომხრე, არცერთი - წინააღმდეგი) <u>დაადგინეს:</u>

1. <u>განკარგულების პროექტი დამტკიცდეს შემდეგი სახით:</u>

ქ. თბილისში, დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე არსებული ვითარების მოწესრიგების, შემდგომში მისი კონსერვაციისა და ახალი ალტერნატიული პროექტის შემუშავების შესახებ

ვინაიდან, თბილისის დიდი ლილოს ნაგავსაყრელის მოწყობა და ექსპლუატაციაში შესვლა მოხდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის დაცვის გარეშე, რამაც სერიოზული პრობლემები შეუქმნა ადგილობრივ მოსახლეობას და ვინაიდან არ შეესაბამება არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს აეროპორტებთან მიმართებაში, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „ვ" და „ზ" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 75-ე მუხლის „ბ.ბ" და „ე.ი". ქვეპუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დაევალოს ქ. თბილისის მთავრობას მოამზადოს პროგრამა ქ. თბილისში დიდი ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე არსებული ვითარების მოწესრიგების, შემდგომში მისი კონსერვაციისა და ახალი ალტერნატიული პროექტის შემუშავების მიზნით;
2. განკარგულების პირველი ნაწილით განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ნორმებს, საყოველთაოდ მიღებულ პრაქტიკას და

ევროგაერთიანების საბჭოს შესაბამის დირექტივას (Council Directive 1999/31/EC of 26 April 1999 on the landfill of waste);

3. განკარგულების პირველი და მეორე ნაწილების შესრულებისა და საკრებულოში წარმოდგენის ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2014 წლის 10 ნოემბერი.
4. ძალაშია ხელმოწერისთანავე.

2. განკარგულების პროექტი, მისი შემდგომი განხილვის პროცედურის დაწყების მიზნით, წარედგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა.

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

ქ.თბილისის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ნეფარიძის ბიუროში 2015 წლის განმავლობაში შემოსულია 1180 განცხადება, აქედან 852 გაეწია შუამდგომლობა.

დაფინანსებულია სრულად 68889 ლარი
გამოკვლევა- 7525 ლარი
მედიკამენტები- 11253 ლარი
ერთჯერადი ფინანსური დახმარება- 12731 ლარი
ოპერაცია- 38380 ლარი

მზადება ახალი წლისათვის-

დეპუტატის ინიციატივით, ქ.თბილისის მერიის და ისნის რაიონის გამგეობის თანადგომით ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე (ყოფილი ბოგდან ხმელნიცკის 48-ში,სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე) 22 მეტრის სიმაღლის ნაძვის ხე განთავსდა. დეპუტატმა ნავთლუღელებს წინასაარჩევნო დაპირება აუსრულა და ნაძვის ხე ნავთლუღელებთან ერთად საახალწლო ილუმინაციებით გაალამაზა. დეპუტატმა მოსახლეობას დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და წარმატებები უსურვა.

ახალი 2015 წელი-

ზურაბ ნეფარიძე 2015 წლის დადგომას მოსახლეობასთან ერთად შეხვდა.პირველად ნავთლუღის ისტორიაში დეპუტატის ინიციატივით საახალწლოდ ბერ გაბრიელის გამზირზე 22 მეტრის სიმაღლის ნაძვის ხე განთავსდა.გაიმართა საახალწლო ღონისძიება ადგილობრივი სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით.მაჟორიტარმა ნავთლუღელებს ახალი წლის შემობრძანება საახალწლო ფეიერვერკით მიულოცა. ბავშვები განსაკუთრებით თოვლის ბაბუის გამოჩენით გახალისდნენ,რომელმაც მათ საჩუქრები გადასცა და ნათელი მომავალი უსურვა.

2015 წლის საახალწლო კარნავალი 2015 საბავშვო ბაგა-ბაღში

დეპუტატი 215 ბაგა–ბაღში საახალწლო კარნავალს დაესწრო.დეპუტატმა ბავშვებს,პედაგოგებსა და მშობლებს დამდეგი შობა–ახალი წელი მიულოცა და საუკეთესო სურვილები უსურვა.

უფასო სამედიცინო მომსახურება ნავთლუღელებისათვის

ზურაბ ნეფარიძის ინიციატივითა და ქ.თბილისის №4 საოჯახო მედიცინის ცენტრის - ისნის ფილიალის მხარდაჭერით ნავთლუღის მოსახლეობას ჩაუტარდა უფასო სამედიცინო გამოკვლევები.პოლიკლინისკის 10-მდე ექიმი და წამყვანი სპეციალისტი მოემსახურა 200-ზე მეტ მოქალაქეს. მაჟორიტარმა დეპუტატმა აღნიშნა,რომ ასეთი აქცია მომავალშიც ჩატარდება და გათვალისწინებული იქნებიან ისეთი ავადმყოფები,რომლებიც ლოგინს არიან მიჯაჭვული და გადაადგილების შესაძლებლობა არ აქვთ.ასევე აქცია ჩატარდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. მოსახლეობა ძალიან კმაყოფილი დარჩა ექიმებისა და სპეციალისტების მომსახურების ხარისხით.

დეპუტატმა მადლობა გადაუხადა პოლიკლინიკის დირექტორს ქალბატონ ნანა ჩანტლაძეს და მთელ მის კოლექტივს მათი ასეთი თანადგომისათვის.

3 მარტი-დედის დღე

ზურაბ ნეფარიძემ, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის მაცხოვრებელ ქალბატონებს 3 მარტი–დედის დღე მიულოცა და ესტუმრა კურტანიძეების მრავალშვილიან ოჯახს. ქალბატონს ეკას, რომელსაც ჰყავს 7 შვილი ყვავილები და საჩუქრები გადასცა, გაესაუბრა და დახმარებას დაპირდა მათ დეპუტატის კომპეტენციის ფარგლებში.

8 მარტი-ქალთა დღე

დეპუტატმა ნავთლუღელ ქალბატონებს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა და სამაჟორიტარო ოლქში,წულაძის ქუჩაზე მცხოვრებ 100 წლის უხუცესს ნინა ჩეკურიშვილს ეწვია,რომელსაც ყვავილები და ტკბილეული გადასცა.

21 მარტი- დაუნის სინდრომით დაავადებულთა საეთაშორისო დღე.

მაჟორიტარმა 21მარტს თავის პატარა მეგობარს დაჩის დეპუტატის ბიუროში უმასპინძლა.

"მე ვირჩევ თანასწორობას დაცულ უფლებებს და ოჯახის თანადგომას".

2 აპრილი- აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე.

საქართველოში 2 აპრილს "აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე" აღინიშნება.ამ დღესთან დაკავშირებით დეპუტატი ნავთლუღში №215 საბავშვო ბაგა-ბაღს ესტუმრა და აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე აღსაზრდელი მოინახულა.

დეპუტატმა პატარას სხვადასხვა უნარების განმავითარებელი სათამაშოები გადასცა და ბაგა-ბაღის დირექტორთან,პედაგოგებთან და ბავშვებთან ერთად სიმბოლურად "თანადგომის ხე" შექმნა.

გამწვანების აქცია

დეპუტატის ინიციატივით ხარების ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ისნის რაიონში,იუნკერთა სკვერში,გამწვანების აქცია გაიმართა.აქციაში მონაწილეობა მიიღეს №4 საოჯახო მედიცინის ცენტრის ისნის ფილიალის მედ-კოლექტივმა და ნავთლუღის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა. სამედიცინო ცენტრის ეზოსა და სკვერის ტერიტორიაზე დაირგო 50 ძირი დეკორატიული წიწვოვანი ნერგი.აქცია მომავალშიც გაგრძელდება და უფრო ფართო მასშტაბიანი იქნება.

გიორგი ალიბეგაშვილი სტუმრად დეპუტატის ბიუროში

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ალიბეგაშვილი ზურაბ ნეფარიძის სამაჟორიტარო ბიუროს ესტუმრა. საკრებულოს თავმჯდომარე ოთხშაბათის ტრადიციულ, დეპუტატის მიერ მოქალაქეთა მიღებას დაესწრო. ზურაბ ნეფარიძე გიორგი ალიბეგაშვილს მის რაიონში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობასა და მათი საჭიროებების შესახებ ესაუბრა. ასევე გააცნო ინფორმაცია მოკლე პერიოდის განმავლობაში, რაიონის წინაშე მდგარი რამდენიმე

მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარების შესახებ.
კერძოდ, საუბარი შეეხო რაიონში მდებარე ექვს ქუჩაზე ასფალტის საფარის დაგებას, მიტოვებული სკვერების განახლებას, საცხოვრებელი სახლების გამაგრებასა და გადახურვის სამუშაოებს, რომლებიც სოციალურად დაუცველ ოჯახებში განხორციელდა.
სამაჟორიტარო ბიუროში ასევე ისაუბრეს რაიონის მოსახლეობის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და სირთულეების შესახებ და მათი მოგვარების გზები დასახეს. ამის შემდეგ, გიორგი ალიბეგაშვილმა მოქალაქეთა მიღება დეპუტატთან ერთად გააგრძელა.
საკრებულოს თავმჯდომარე, შეხვედრაზე, რაიონისა და მოსახლეობის პირად პრობლემებს გაეცნო. მოისმინა ინფორმაცია, მოქალაქეთათვის მაჟორიტარის მიერ გაწეული დახმარების შესახებ, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახების მედიკამენტებით უზრუნველყოფასა თუ სხვა დახმარების გაწევას ეხებოდა. მაჟორიტარმა დეპუტატმა, საკრებულოს თავმჯდომარეს იმ ღონისძიებათა ნუსხაც გააცნო, რომელთა განხორციელება უახლოეს პერიოდში, მოსახლეობასთან ერთად იგეგმება. განსაკუთრებით აღნიშნა, რომ მალე დეპუტატის ინიციატივით და მოსახლეობის მხარდაჭერით, რაიონში მამა გაბრიელის სახელობის ტაძრის მშენებლობა დაიწყება.
საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი სასიკეთო საქმეა დაწყებული, რომელთა შორისაც გამოყოფილია როგორც სასწრაფოდ გასაკეთებელი ასევე ეტაპობრივად დასაძლევი საკითხები. „ბატონი ზურაბი მხარში უდგას თავის მოსახლეობას, ამომრჩეველს და ცდილობს, რომ მაქსიმალურად შეუმსუბუქოს და მოუგვაროს პრობლემები. მთავარია, ძალიან ბევრი სასიკეთო საქმეა დაწყებული, რომელთა შორისაც გამოყოფილია როგორც სასწრაფოდ გასაკეთებელი ასევე ეტაპობრივად დასაძლევი საკითხები“, – განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ.
თავის მხრივ, მაჟორიტარმა დეპუტატმა გიორგი ალიბეგაშვილს სტუმრობისათვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მიუხედავად გამოწვევებისა, საკრებულოსთან და მერიასთან ერთობლივი მუშაობით, ქალაქისთვის ბევრი კარგი საქმის გაკეთებაა შესაძლებელი.

ქ.თბილისის №85 საჯარო სკოლა
ზურაბ ნეფარიძე ნავთლუღში №85 საჯარო სკოლას ესტუმრა,სადაც საქართველოს იუსტიციის,თავდაცვის,განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების ერთობლივ პროექტს "წერილი ჯარისკაცებს" დაესწრო.

ღონისძიებაზე მთავარმა სერჟანტმა ბესიკ ხატიაშვილმა დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ავღანეთში მყოფი ჯარისკაცების წერილები ადრესატებთან ერთად წაიკითხა.
შეხვედრაზე ბავშვებს მიმართეს იუსტიციის სამინისტროს სსიპ "დანაშაულის პრევენციის ცენტრის" ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ ხელაძემ,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკისა და პროგრამების სამმართველოს უფროსმა თამარ მალაზონიამ და ისნის რაიონის ნავთლუღის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზურაბ ნეფარიძემ.
მათ პროექტის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება და ბავშვებს ქართული ჯარის თანადგომისთვის მადლობა გადაუხადეს.

ზურაბ ნეფარიძემ სოციალურად დაუცველ ოჯახებს სააღდგომო საჩუქრები გადასცა.

1 ივნისი- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

ზურაბ ნეფარიძემ თავის რაიონში არსებული სკოლების მოსწავლეებს 1 ივნისი– ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა. ამ დღის აღნიშვნის მიზანია მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზება ბავშვების დასაცავათ,ზრუნვა მათ ჯანმრთელობასა და დემოკრატიულ აღზრდა განვითარებაზე. ამ დღესთან დაკავშირებით დეპუტატმა საჩუქრად ბილეთები გადასცა მოსწავლეებს საბავშვო მიუზიკლ "მაუგლი"_ზე დასასწრებად,რომელიც გაიმართება 31 მაისს ალ.გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრის ცენტრალურ დარბაზში. ზურაბ ნეფარიძე მადლობას უხდის თბილისის საკრებულოს დეპუტატ ქალბატონ ქეთევან ჯოხაძეს თანადგომისათვის.

14 ივნისი- შშმ პირების დაცვის საერთაშორისო დღე.

დეპუტატი 14 ივნისს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეს AISIS_ის წარმომაგენლებთან ერთად, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მდებარე "შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მეწარმეთა კავშირ"_ში იმყოფებოდა. საქართველოში 1995 წლიდან ამ დღეს აღნიშნავენ. მისი აღნიშვნის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი შესაძლებლობების წარმოჩენა საზოგადოებაში. შეხვედრამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

ქ.თბილისის №81 საჯარო სკოლაში მხიარული სტარტები

ზურაბ ნეფარიძე, წითელი ჯვრის წარმომადგენლებთან ერთად ქ.თბილისის # 81 საჯაროს სკოლაში მხიარულ სტარტებს დაესწრო. გათამაშდა "ბესოს თასი" რომელიც გამარჯვებულებს გადასცეს ზურაბ ნეფარიძემ, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა ქალბატონმა– მედეა მარღანია–ავალიანმა და გარდაცვლილ ბესო გორჯოლაძის დამ– ქალბატომა თამარ გორჯოლაძემ.

ქ.თბილისის №89 საჯარო სკოლაში ღონისძიება- „მოგზაურობა ზღაპრის სამყაროში"

დეპუტატები ზურაბ ნეფარიძე და ილია ჯიშკარიანი, ისნის რაიონის გამგეობისა და მუნიციპალიტეტის წამრმომადგენლებთან ერთად ქ.თბილისის №89 საჯარო სკოლაში საბავშვო ღონისძიებას „მოგზაურობა ზრაპრის სამყაროში" დაესწრნენ. ღონისძიებამ სტუმრების მოწონება დაიმსახურა, რის გამოც პატარები, ჯერ ტაშით, შემდეგ საჩუქრებით დაასაჩუქრეს. დეპუტატებმა მადლობა მოუხადეს სკოლას აღმზრდელებს , პატარა მსახიობებს, რომლებმაც საუკეთესოდ განასახიერეს თავისი გმირები. დეპუტატებმა ახლად არჩეულ სკოლის დირექქტორს მადლობა მოუხადეს წარმატებები უსურვეს, როგორც პედაგოგიურ მოღვაწეობაში ასევე პირად ცხოვრებაში და დაჰპირდნენ, რომ სკოლის ხშირი სტუმრები იქნებოდნენ.

დეპუტატმა ბავშვები ბაკურიანში დასასვენებლად გააცილა.

ზურაბ ნეფარიძემ, გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად რაიონში მცხოვრები ბავშვები 2 კვირით ბაკურიანში გააცილა. დეპუტატი გაესაუბრა მშობლებს, ხოლო ბავშვებს კარგი დასვენება, ბევრი ცოდნის მიღება და ახალი მეგობრების შეძენა უსურვა. ქვეყნის უმთავრესი პრიორიტეტი ხომ სწორედ ჯანსაღი და წარმატებული თაობაა.

კონცერტი ნავთლუღელებისათვის

6 აგვისტო; ნავთლუღი- ერთ-ერთი სასიამოვნო დღე ნავთლუღელებისათვის, ქ.თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ზურაბ ნეფარიძის ინიციატივითა და ქ.თბილისის საკრებულოს, მერიის, გამეგობის მხარდაჭერით მოეწყო ორ საათიანი

კორცერტი, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. დეპუტატმა მოღვაწეობის ერთი წლის შემდეგ, ანგარიში ჩააბარა ნავთლუღელებს, გაწეული მუშაობის შესახებ.შეხვედრაზე აშკარად იგრძნობოდა ხალხისა და დეპუტატის თბილი, მეგობრული დამოკიდებულება. მიუხედავად, მაღალი ტემპერატურისა და დღევანდელი სოციალური პრობლემებისა, ყველა ნავთლუღელი, რომელმაც ვერ მოახერხა დაეტოვებინა თბილისი ნასიამოვნები დარჩა ღონისძიებით. შეხვედრას ესწრებოდნენ ქ.თბილისის საკრებულოს დეპუტატი გულიკო ზუმბაძე და ფრაქცია "ქართული ოცნება- ეროვნული ფორუმი"_ის თავჯდომარე: ავთანდილ დავითაძე

ახალი სასწავლო წელი

დეპუტატმა ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს.
დეპუტატი ქ.თბილისის #81, #85, #99 საჯარო სკოლებს ეწვია-პატარებს წარმატებული სასწავლო წელი უსურვა, თავად კი აღნიშნა, რომ სკოლებს და ზოგადად განათლების სისტემას მეტი ყურადღება სჭირდებათ და ხელისუფლება ამისათვის ყველაფერს აკეთებს. მომავალში კი კიდევ უფრო მეტი გაკეთდება, ვინაიდან ხვალინდელი დღე სწორედ განათლების სისტემის სრულყოფამ უნდა უზრუნველყოს.

ქ.თბილისის №109 საბავშვო ბაგა-ბაღი

ზურაბ ნეფარიძის ინიციატივით, ნავთლუღს სტუმრობდნენ ქ.თბილისის საკრებულოს თავჯდომარე- ბატონი გიორგი ალიბეგაშვილი, ქ.თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავჯდომარე- ქალბატონი თამარ ტალიაშვილი. მათ ერთად მოინახულეს ქ.თბილისის N 109 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც სამშენებლო სამუშაოები უკვე დასრულდა, დაემატა 2 ფლიგელი და ოქტომბრის თვეში ბაღი დამატებით 300 ბავშვის მიღებას შეძლებს. დეპუტატები დაინტერესდნენ ბავშვების ყოფით, თუ რა პირობებში უწევთ დასვენება, საკვების მიღება და როგორ ემსახურებიან აღმზრდელები მათ. აღფთოვანება გამოიწვია ბაღში არსებულმა მდგომარეობამ, აბსოლიტური სისუფთავე იდეალური სამზარეულო, საძინებლები და რაც მთავარია უახლოეს დღეებში ახალი ევროპული დონის გარემონტებული ორი ფლიგელი.

დასუთავების აქცია

დეპუტატის ბიურო მსოფლიოს გარემოსდაცვითი პროგრამის ფარგლებში მიმდინარე დასუფთავების კამპანიაში:- "დავასუფთავოთ მსოფლიო , დასავუფთავოთ საქართველო" ჩაერთო , რომელიც მიმდინარეობდა ისნის რაიონში წმ. იოანე მხედრის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიასა და გუდარეხის ქუჩაზე მდებარე ახლად აშენებული სპორტული მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ფეხბურთის ტურნირი- ისნის თასი 2015

ისნის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ნეფარიძე, რაიონის გამგებელთან ვახტანგ ქიზიყურაშვილთან ერთად, მინი ფეხბურთის ტურნირს - "ისნის თასი 2015"_ის ფინალურ თამაშს დაესწრო. გამარჯვებული გუნდები რაიონის გამგებელმა ერთპიროვნულად დააჯილდოვა.

ქ.თბილისის №124 საჯარო სკოლა

ზურაბ ნეფარიძე, საკრებულოს თავჯდომარესთან ბატონ გიორგი ალიბეგაშვილთან ერთად და სამგორის რაიონის დეპუტატთან ქალბატონ ლია ჯახველაძესთან ერთად, ქ.თბილისის #124 საჯარო სკოლაში, პრეზიდენტის სტიპენდიანტის პედაგოგის თინა ონიანის სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის გახსნას დაესწრო.
ღონისძიებაზე ისაუბრეს ქალბატონი თინას ღვაწლზე და მოხდა "კარცერ-ლუქსის" პრეზენტაცია. აღნიშნულ ოთახში თავმოყრილია ხელოვნების ნიმუშები და ქართველ მწერალთა ნააზრევები.

გრიგოლ ხანძთელის სახელობის მართმადიდებლური საშუალო სკოლა

ზურაბ ნეფარიძე მოსკოვის გამზირი #9 შიმდებარე გრიგოლ ხანძთელის სახელობის მართმადიდებლურ საშუალო სკოლაში იმყოფებოდა. დეპუტატი გაესაუბრა პედაგოგებსა და აღსაზრდელებს. გაეცნო სკოლაში მიმდინარე პროცესებს. დირექტორთან ერთად ისაუბრა სკოლის პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ნეფარიძე დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დიმიტრი ყიფიანის სახელობის დარბაზში საქართველოს მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებთან შეხვედრას, ისნის რაიონში მცხოვრებ გიორგი უჩავასთან ერთად დაესწრო.

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა მერაბ შარიქაძემ გუნდის სახელით საკრებულოს დეპუტატებს მოწვევისა და გვერდში დგომისათვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ ქართველი მორაგბეები გულშემატკივრებს კიდევ არაერთი გამარჯვებით გაახარებენ.

შეხვედრის დასასრულს, სპორცმენებმა თამარ მეფის სახელობის დარბაზში ფოტოები გადაიღეს და ბავშვებს სამახსოვრო ავტოგრაფებით რაგბის ბურთები დაურიგეს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეზოში "თბილისობა 2015"-ის საზეიმო გახსნისა და „საპატიო თბილისელების" დაჯილდოვების ცერემონიალი გაიმართა. დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ მოსახლეობას სახალხო დღესასწაული მიულოცა და საპატიო მოქალაქეები "თბილისის გასაღებით" და სიგელებით დააჯილდოვა.

საზეიმო ღონისძიებას საპატიო სტუმრებთან ერთად თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი და წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატები ესწრებოდნენ. "საპატიო თბილისელის" წოდება სხვადასხვა სფეროში გამორჩეულ თერთმეტ ადამიანს მიენიჭა. დედაქალაქის საპატიო მოქალაქის წოდება მიიღეს: მწერალმა ლაშა თაბუკაშვილმა, მომღერალმა ფოლად ბიულ-ბიულ ოღლიმ, ექიმმა ბესიკ იაშვილმა, მეცნიერმა მზექალა შანიძემ, მხატვარმა გიორგი (გია) ჯაფარიძემ, არქიტექტორმა ომარ ნაფეტვარიძემ, მოცეკვავე ჯუმბერ ბერაძემ, მთარგმნელმა გივი შაჰნაზარმა, პიანისტმა ალექსანდრე კორსანტიამ, რეჟისორებმა ქეთევან დოლიძემ და გიორგი შენგელაიამ.

ამავე ღონისძიებაზე "თბილისის გასაღები" ქართველ მორაგბეებს გადაეცათ, ხოლო ვიცე-მერმა ლაშა აბაშიძემ „ბორჯღალოსნები" „წლის წარმატებული სპორტსმენის" სპეციალური სამკერდე ნიშნებით დააჯილდოვა.

საპატიო თბილისელებს ტრადიციულად თბილისობის დღესასწაულზე აჯილდოვებენ. საზეიმო ღონისძიებები 1979 წლის 28 ოქტომბრიდან, ყოველ შემოდგომაზე, ოქტომბრის თვეში აღინიშნება.

გზების ძოელა-შეკეთება 2015 წელი (ნაეთლუღი)

№ რიგზე	დასახელება	კვმ	თანხა
1	საექიმოს გასასელელი №2	840,80	21781,35
2	ჩოლოყაშვილის ქუჩა IIკვრტ I კორპუსი	95,00	2468,39
3	ჩოლოყაშვილის და ბ/ხმელნიცკის ქ	263,50	6412,79
4	ჩოლოყაშვილის ქ 1 კვრტ №215-ბ/ბ უკან	352,30	9849,99
5	ნადარეიშვილის ქ კორპუსი №5	2096,14	56892,10
6	ნადარეიშვილის ქ კორპუსი №8	533,40	15047,82
7	300 არაგველების აღმართი და 300 არაგველების 1-ლი შესახვევი	1863,00	85022,77
8	წულაძის ქ №29-ის მიმდებარედ	1931,00	92707,97
9	პატარძეულის ქუჩა №12-16 სახლის მიმდებარედ	67,00	1695,15
10	ბ/ხმელნიცკის შესახვევი ბ/ხმელნიცკის ქუჩიდან წულაძის ქუჩამდე	147,00	3663,81
11	სამრეწველოს დასახლება II ქუჩა I შესახვევი	1667,50	52577,60
12	სამრეწველოს დასახლება I ქუჩა II გასასელელი	1581,00	49641,31
13	დოდაშვილის ქ №5/7	274,40	7170,16
14	დოლაბაურის III ქუჩა	3506,00	181573,20
15	დოლაბაურის II ხეეი	3654,00	192339,22
16	ბ/ხმელნიცკის I ჩიხი	982,50	32392,54
17	მეეელის ჩიხი	2020,50	115303,26
18	ნაეთლუღის ქ №6/2	584,00	13007,47
19	შავსოფლის ქუჩა	771,50	43937,46
	9 თეე	23230,54	983494,46

(ნაეთლუღი)

	ობიექტის დასახელება	მისამართი	თანხა
1	რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავის თუნუქის მოწყობის სამუშაოები.	ნაეთლულის ჩიხი №5	7903,88
2	საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები	სამრეწველოს დასახლება I ქუჩა II გასასვლელი	753,35
3		დოდაშვილის ქ №35	10500,00
4		300 არაგველების მე-2 შესახვევი	57031,00
5	სკვერის მოწყობა	ბ/ხმელნიცკის ქ №161-163 მიმდებარედ	63331,85
6		ბ/ხმელნიცკის ქ №151-153 კორპ.შორის	29760,03
7		ბ/ხმელნიცკის ქ მე-2 შესასვლელი	51069,42
8		ქ. წამებულის ქ №8	15736,60
9	სპორტული მოედნის მოწყობა	ბ/ხმელნიცკის ქ №48 კორპუსი №4 მიმდებარედ	27458,85
10		მე-2 საავიაციოს დასახლება მე-5 კორპუსის მიმდებარედ	32809,92
11		ბ/ხმელნიცკის ქ №44ა	26898,93
12		ბ/ხმელნიცკის ქუჩა №48 კორპუსი №3-ე მიმდებარედ	53381,81
13		გუდარეხისა და აბუსერიძე ტბელის №76-ის მიმდებარედ	46070,99
14	რაიონის ტერიტორიაზე მდებარე დაზიანებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი, დროებითი დამზღვევი ღონისძიებების ჩატარების, სამშენებლო ნაგვისა და გრუნტის გატანის სამუშაოები.	ჰოსპიტლის ქ №2	483,89
15		ჰოსპიტლის ქ №5	99,47
16		დოდაშვილის ქ №35	303,89
17		დოდაშვილის ქ №48	1443,29
18		ლუსინიანის ქ №20	193,56
19		300 არაგველების მე-2 შესახვევი №12	445,83
20		ჩოლოყაშვილის II კე IV კორპ II სადარბაზო.	95,77
21	რაიონის ტერიტორიაზე 15 ცალი სბალე სკამის დამზადება-მონტაჟი	ბ/ხმელნიცკის ქ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია - 5 ცალი	1191,85
22		ბ/ხმელნიცკის ქ №147ა - 4 ცალი	1004,56
23		ბ/ხმელნიცკის ქ №147 - 2 ცალი	502,28
24		ქ ჩოლოყაშვილის ქ №14 - 1 ცალი	251,14
25		დოდაშვილის ქ №23 - 3 ცალი	753,42
26	სასმელი წყლის შემყვანი მილების სარეაბილიტაციო სამუშაოები	დოლაბაურის III ქუჩა სახლი №51	552,24
27		დოლაბაურის III ქუჩა სახლი №26დან №40-მდე	2257,67
28	საკანალიზაციო ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოები	მოსკოვის გამზირი №19	10038,27
29		ნადარეიშვილის ქუჩა №8	13837,88
30		საექიმოს გასასვლელი კორპუსი №2	14976,75
31		ბ/ხმელნიცკის II ჩიხი	10316,84
32		იუნკერთა ქუჩა სახლი №13	13445,72

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

ერთწლიანი მოვაწეობის პირობებში ადგილობრივ და სახელმწიფო ორგანოებთან მუნიციპალიტთან, გამგეობასთან, მერიასთან ჩამოყალიბდა საკმაოდ სერიოზული საქმიანი ურთიერთობა. ამაზე მიუთითებს ის რაც დღეს მე გამოვიტანე ტქვენს წინაშე. დიახ, სწორედ ამ უწყებებთან სერიზული საქმიანი ურთიერთობის შედეგია ის, რომ ნავთლუღის ტერიტორიაზე დაიგო გზები, შეიცვალა საკანალიზაციო სისტემა, გაკეთდა სკვერები, სოციალურად დაუცველს ჩემი შუამდგომლობით დავეხმარეთ მედიკამეტებით, ერთჯერადი ფინანსური დახმარებით, გაუკეთდათ გამოკვლევა, ოპერაცია. სწორედ ეს ყველაფერი შედეგია იმისა, რომ საქმიანი ურთიერთიბა გვაქვს სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურებთან.

- სხვა სახის ინფორმაცია

ზურაბ ნეფარიძის ინიციატივით 2 ნოემბერს ეწოდა ბერი გაბრიელ სალოსის ხსენების დღე, რომელიც აღინიშნება როგორც საერო სახალხო დღესასწაული. ჩოლოყაშვილისა და ბ/ხმელნიცკის ქუჩებს ეწოდა ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი. წულაძე ციხისძირის კვეთაზე უნდა აშენდეს ბერი გაბრიელ სალოსის ტაძარი. 2 ნოემბერს, იგეგმა ლოცვითი მსვლელობა სამების საკათედრო ტაძრიდან, რომელიც დასრულდება კონცერტით. სპეციალურად ამ დღისათვის დაიწერა ბერი გაბრილ სალოსის ხატი და სიმღერა.

საკრებულოს წევრი *ზურაბ ნეფარიძე*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრს

ბატონ ზურაბ ნეფარიძეს

ბატონო ზურაბ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ანგარიში ძირითადად უნდა მოიცავდეს: საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას; საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაციას; ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაციას; ასევე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ ინფორმაცია ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის ადგილის, თარიღისა და სხვა დამატებითი დეტალების შესახებ არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, რადგან საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი გრაფიკის შედგენა. საკრებულოს წევრს თავისი სურვილის შესაბამისად უფლება აქვს გამოიყენოს საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა ანგარიშის წარსადგენად. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საჯაროდ ცხადდება საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, წარდგენიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისად, გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ შესაბამისი ანგარიში წარდგენიდან 3 დღის ვადაში წერილობითი სახით.

დანართის სახით გიგზავნით, საკრებულოს წევრის ანგარიშის ნიმუშს.

პატივისცემით,

საკრებულოს აპარატის უფროსი ელენე დუქმაძე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატი
№ 10/18490
"12" ოქტომბერი 2015 წ.
ფურცელთა რაოდენობა 3 ფურცელი
0105, თავისუფლებას მოედანი №2

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ---

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- სხვა სახის ინფორმაცია

საკრებულოს წევრი

(სახელი; გვარი) *(ხელმოწერა)*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსი

ქ-ნ ე. კაპანაძეს

რეზოლუციის შესაბამისად

№10/18490

აპარატის უფროსი
ე. დუმბაძე
22.12.2005

10/18490

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრს

ბატონ ზურაბ ნეფარიძეს

ბატონო ზურაბ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ანგარიში ძირითადად უნდა მოიცავდეს: საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას; საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაციას; ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაციას; ასევე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ ინფორმაცია ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის ადგილის, თარიღისა და სხვა დამატებითი დეტალების შესახებ არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, რადგან საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი გრაფიკის შედგენა. საკრებულოს წევრს თავისი სურვილის შესაბამისად უფლება აქვს გამოიყენოს საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა ანგარიშის წარსადგენად. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საჯაროდ ცხადდება საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, წარდგენიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისად, გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ შესაბამისი ანგარიში წარდგენიდან 3 დღის ვადაში წერილობითი სახით.

დანართის სახით გიგზავნით, საკრებულოს წევრის ანგარიშის ნიმუშს.

პატივისცემით,

საკრებულოს აპარატის უფროსი ელენე დუმბაძე

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ----

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- სხვა სახის ინფორმაცია

საკრებულოს წევრი

(სახელი; გვარი) *(ხელმოწერა)*